თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 539

" 14 " 02 2012

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.02.10 წ №01/354 ბრძანებასა და №6/368-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.02.10 წ №01/354 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზის მე-9 კმ-ზე, მარჯვენა მხარეს (ნაკვ. №1 და №2), შპს „რიწას" (*ID:202289353*) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (*საკ. კოდი №01.13.01.018.098*), არსებული შენობების რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებელობის ნებართვა (*დამკვეთი: შპს „რიწა"*), რომელიც ძალაშია 2011 წლის 26 თებერვლამდე. 22.02.11 წ სამსახურის №608 ბრძანებით, დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა გაგრძელდა დამატებით 12 თვით და ძალაშია 2012 წლის 26 თებერვლის ჩათვლით.

2012 წლის 07 თებერვალს სამსახურს №12/18277-13 განცხადებით მომართა დამკვეთმა შპს „რიწამ", მისი დირექტორის ი. ტოროშელიძის სახით (*ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწრმეო იურიდიული პირების რეესტრიდან: რეგ. №B10007337, 23.01.10წ*), სადაც აღნიშნულია, რომ მშენებლობა ვადი გაგრძლების შემდეგ არ წარმოებულა და მოითხოვა მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მათ შორის დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების წარმოების ძველი კალენდარული გრაფიკი (*დასამთავრებლად მოთხოვნილი გონივრული ვადა*) საფუძველზე.

სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილების ხელის შემშლელი გარემოებები არ არსებობს და 07.02.12 წ №12/18277-13 განცხადებით დაყენებული მოთხოვნა საფუძვლიანია, და შესაძლებელია დაკმაყოფილდეს. კერძოდ, შევიდეს ცვლილება 19.02.10 წ №01/354 ბრძანებაში და მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 26 თებერვლის ჩათვლით – გაგრძელდეს დამატებით 12 თვით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის №57 დადგენილების 57-ე და 59-ე მუხლების თანახმად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.02.10 წ №01/354 ბრძანებაში. კერძოდ, მე-3 პუნქტში, მშენებლობის ვადის განსაზღვრის ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 26 თებერვლიდან **2012 წლის 26 თებერვლის ჩათვლით**", შეიცვალოს ჩანაწერით „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 26 თებერვლიდან **2013 წლის 26 თებერვლის ჩათვლით** " და აღნიშნული აისახოს 19.02.10 წ №6/368-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ.(+995 32) 272 22 22 ფაქს. (+995 32) 237 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.02.10 წ №01/354 და 22.02.11 წ №608 ბრძანებებთან და 19.02.10 წ №6/368-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.
3. 07.02.12 წ №12/18277-13 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის სამშენებლო დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი და განხილულ იქნას მასთან ერთად.
4. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს განმცხადებელს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
5. განემარტოთ დანიტერესებულ პირებს, რომ წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (*მის.: ქ. თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. №7*), ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

III და IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების უფროსი / კ. ნიაური /

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 01/354

" 19 " 02 2010

ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზის მე-9 კმ-ზე, მარჯვენა მხარეს (ნაკვ. №1 და №2), შპს „რიწა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №018/098) არსებული შენობების რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება) არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

დამკვეთი ..... შპს „რიწა"
საპროექტო ორგანიზაცია ..... შპს „ექსპრესი"
ავტორი ..... მ. სამარღანიშვილი

საფუძველი:

- შპს „ რიწა"-ს დირექტორის იოსებ ტოროშელიძის 01.02.10წ №12/8725-13 განცხადება;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (სარეგისტრაციო №882010444141, 18.01.10წ; საკადასტრო №01.13.01.018.098);
- ქ. თბილისის მერის 18.06.09წ განკარგულება №632, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ;
- ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული 13.07.09წ №706 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები;

მიწის ნაკვეთის ფართი: ..... 2504.00 მ²
მათ შორის:
სსზ-2: ..... 646.00 მ²
სზ-3: ..... 1858.20 მ²
მოშენების ფართი: ..... 923.14 მ²
მათ შორის:
არსებული შენობების: ..... 829.80 მ²
საპროექტო (კაფე): ..... 93.34 მ²
საერთო ფართი: ..... 1517.84 მ²
მათ შორის:
არსებული შენობების: ..... 1048.64 მ²
საპროექტო შენობების: ..... 479.83 მ²
დაშენების II-III სართული (საყოფ. 8/1): ... 386.49 მ²
საზაფხულო ფართი: ..... 57.71 მ²
კაფე (მოშენება 5/1): ..... 82.82 მ²
საზოგადოებრივი ფართი: ..... 57.71 მ²
დამხმარე ფართი: ..... 23.04 მ²
სამშენებლო მოცულობა: ..... 1462.61 მ³

შენობის კლასი:
დაშენების II-III სართული (საყოფ. 8/1): ... III (რისკის საშუალო ფაქტორით);
კაფე (მოშენება 5/1): ..... II (რისკის დაბალი ფაქტორით).

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის №57 დადგენილებისა

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჯ. მარტკვას 7
ტელ.(+995 32) 72 22 22 ფაქს.(+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზის მე-9 კმ-ზე, მარჯვენა მხარეს (ნაკვ. №1 და №2), შპს „რიწა“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №018/098) არსებული შენობების რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება) არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2010 წლის 26 თებერვლიდან 2011 წლის 26 თებერვლამდე.

- მშენებლობის ეტაპები: მოსამზადებელი სამუშაოები; მე-2 და მე-3 სართულების და მოშენების ძირითადი მზიდი კონსტრუქციების მოწყობა; გადახურვისა და სახურავის მოწყობა; არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; გარე და შიდა მოპირკეთება და ტერიტორიის კეთილმოწყობა.
- სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპის დასრულებამდე შვიდი დღით ადრე ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს (ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ.
- მშენებლობის დასრულების შესახებ ოქმი დგება სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.
- თუ წარმოებული სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო პირობებს, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი გასცემს მიწერილობას „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
- მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმს ხელს აწერს დამკვეთი, მენარდე ან/და მათი საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.
- ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის დაუსწრებლობის შემთხვევაში, მშენებლობის დასრულების შესახებ ოქმი დგება დამკვეთის, მენარდის ან/და მათი საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, რაც წერილობითი სახით დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს და მხოლოდ ამ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.
- აღნიშნულ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში დამრღვევს დაეკისრება „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა (ფულადი ჯარიმის სახით 5000-დან 11000 ლარამდე).
- წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას ქ. №7) 1 (ერთი) თვის ვადაში.

სამსახურის მარჯვენა სანაპიროს
სანებართვო განყოფილების უფროსი / მ. ძიძიგური /

